მედია სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო მითითებები და თვითრეგულირების სტანდარტები გენდერის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და ლგბტქი საკითხებზე სენსიტიური და ეთიკური გაშუქების შესახებ

UN WOMEN

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია პროგრამის „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში” ფარგლებში, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებენ.

სახელმძღვანელო შეიქმნა ევა ბარბონისა და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თანამშრომლობით.

სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და ის, შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ხედვას.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022 წ.

მედია სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო მითითებები და თვითრეგულირების სტანდარტები გენდერის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და ლგბტქი საკითხებზე სენსიტიური და ეთიკური გაშუქების შესახებ

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union
საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
UNFPA
UN WOMEN

შესავალი

მედია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გენდერთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული სოციალური და კულტურული ნორმების ფორმირებასა და განვითარებაზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალებისა და ლგბტქი ადამიანების მიმართ მედიის დამოკიდებულება და არსებული სტერეოტიპების გამყარება ამ ჯგუფების მიმართ ძალადობასთან არის პირდაპირ კავშირში.

მედია, მხოლოდ სამყაროს სარკე არ არის - ის აქტიურად ახდენს წარმოდგენებისა და მოსაზრებების ფორმირებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია, როდესაც საქმე ქალებთან, გენდერთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხების სამართლიან, ზუსტ, არასტერეოტიპულ და დაბალანსებულ გაშუქებას ეხება.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მედიაში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი, ისინი უმცირესობაში არიან პოლიტიკაში; ახალი ამბები კი, რომლებიც შესაძლოა, ქალებს ეხებოდეთ, ხშირად მაინც კაცის ხმით და კაცის პერსპექტივიდან არის გაჟღერებული. მათი მოსაზრებების, გამოცდილებისა და პროფესიების კუთხით კაცები გაცილებით უკეთ არიან დაფასებულები. მიუხედავად ექსპერტების ხაზგასმისა, რომ ჟურნალისტურ სკოლებში ჩარიცხული და სხვადასხვა მედიაში დასაქმებული ქალების წილი შედარებით მაღალია, საქართველოში მენეჯერულ პოზიციებზე ისინი მაინც ნაკლებად არიან წარმოდგენილნი.[1]

ამ სახელმძღვანელო მითითებების მიზანი ქალებისა და ლგბტქი ადამიანების მიმართ არსებული სტერეოტიპების, არასწორი წარმოდგენებისა და ისეთი სახის გაშუქების შემცირებაა, რამაც, შესაძლოა, ცრურწმენისა და მათზე ძალადობის ლეგიტიმაცია მოახდინოს. კვლევები ცხადყოფს, რომ მედიაში გაჟღერებული სტერეოტიპები ბავშვებზე ზეგავლენას მცირე ასაკიდანვე ახდენს .[2]

ქალები ხშირად წარმოჩენილი არიან, როგორც მომვლელები, მოდელები, სურვილის ობიექტები ან მსხვერპლები. მათ უფრო მეტად აკავშირებენ ფიზიკურ ატრიბუტებთან ან ისეთ ზედაპირულ მახასიათებლებთან, როგორიცაა მათი გარეგნობა, ჩაცმულობა, ასაკი და ოჯახური მდგომარეობა. კაცებს კი, როგორც წესი, საკუთარ იდეებთან, გამოცდილებასთან და პროფესიებთან კავშირში მოიხსენიებენ. ქალთა მიმართ ძალადობა ხშირად ადგილობრივი საზოგადოების, მათ შორის მოძალადის მეზობლების, მეგობრების ან ოჯახის წევრების პერსპექტივიდან შუქდება. ასეთი შინაარსი (ინტერვიუები, განცხადებები და ა.შ.) ხშირად შეიცავს სტერეოტიპულ, ცრურწმენებით გაჯერებულ და გასაკიცხ მესიჯებს, რომლებიც ხანდახან მიზოგინური ან ჰომოფობიურია.

ამასთან, მედიაში ლგბტქი ადამიანების მიმართ განხორციელებული ძალადობა ან აგრესია ხშირად ისე შუქდება, რომ ხდება ფაქტის მნიშვნელობის დაკნინება ან მისი სენსაციად წარმოჩენა. გარდა ამისა, სიუჟეტის მომზადებისას ჟურნალისტები, უმეტესწილად, ლგბტქი თემის წარმომადგენლებთან კონსულტაციას არ გადიან ისეთ საკითხებზე, რომელიც უშუალოდ ამ თემს ან მის კონკრეტულ წევრს ეხება.

ქალთა მიმართ ძალადობა ზოგჯერ შელამაზებული და მონეტიზებულიც კია. გამოსახულების ჰიპერსექსუალიზაცია და ქალების ობიექტივაციისთვის სოციალური მედიის გამოყენება წარმოადგენს ახალ კონტექსტს, რომელშიც ქალები და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ქალები ქმნიან და გამოხატავენ საკუთარ იდენტობას. სექსუალური ქალების გამოსახულებები ცუდი მაგალითია გოგოებისა და ახალგაზრდა ქალებისთვის და ცრუ სურათს ქმნის საზოგადოებაში ქალების როლის შესახებ.

ცალსახაა, რომ მედიაში ლგბტქი ადამიანების მცდარად და არასწორად წარმოჩენა სახიფათო

1 https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2020/05/the-country-gender-equality-profile
2 https://www.nordicom.gu.se/en/publikationer/beyond-stereotypes

გარემოს ქმნის ლგბტქი ახალგაზრდებისთვის, რომელშიც ისინი იზრდებიან და ხელს უშლის საზოგადოების მიერ მათ მიმღებლობას.

ქართულ მედიას უზარმაზარი შესაძლებლობა აქვს, ბევრად უფრო დაბალანსებულად, ინკლუზიურად და მრავალფეროვნად წარმოაჩინოს გენდერთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები. ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების მაღალი პასუხისმგებლობით გაშუქება დაეხმარება და წაახალისებს ქალებისა და გოგოების მიმართ გამოვლენილი ძალადობისადმი შეუწყნარებლობას, ხოლო ლგბტქი საკითხების უფრო მეტად ინფორმირებული გაშუქება ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში, შეამცირებს ცრურწმენებს, სიძულვილის ენის გამოყენებისა და ძალადობის შემთხვევებს. შესაბამისად, სამართლიანი, გენდერულად მგრძნობიარე გაშუქებით მედიას შეუძლია, ხელი შეუწყოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და უფრო სამართლიანი, თანასწორი საზოგადოების შექმნას. დღეს ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ბარიერია ქალთა ლიდერობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრული მონაწილეობისათვის.

ამასთან, არსებობს მგრძნობიარე და სამართლიანი გაშუქების საჭიროების ეკონომიკური საფუძვლებიც: მედიის მომხმარებლები, ასევე, არიან ქალები და გოგოები. მედია კომპანიებმა ნორვეგიაში და გაერთიანებულ სამეფოში, ისევე, როგორც გლობალურმა მედია სააგენტოებმა, განაცხადეს, რომ ქალების მხრიდან მათი რეპორტაჟების მიმართ გაზრდილი ინტერესი ეკონომიკური თვალსაზრისითაც მომგებიანი იყო.

ქვემოთ მოცემული სახელმძღვანელო მითითებები მიზნად ისახავს მედიის წარმომადგენლების მხარდაჭერას უფრო სამართლიანი და მგრძნობიარე გაშუქების უზრუნველსაყოფად. ისინი ეფუძნება „ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის ეროვნული კოორდინატორების ქსელის პირველი კონფერენციის ანგარიშს“,[3] ასევე, მედიის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებსა და რეკომენდაციებს.

რეკომენდაციების უმეტესობა გენდერსა და სექსუალურ ორიენტაციას თანაბრად ეხება. თუმცა, სექსუალური ორიენტაციის გაშუქებასთან დაკავშირებული დამატებითი რეკომენდაციები ცალკე ჩამონათვალშია მოცემული.

3 https://rm.coe.int/1680590587

რეკომენდაციები მედია ორგანიზაციებისთვის

1. ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები

a. მედია ორგანიზაციების ბრძოლა სტერეოტიპების გავრცელებასთან, სათანადო გაშუქებითა და შესაბამისი პროგრამებით, ზოგადად და ყოველდღიურ საქმიანობაში.

- სახელმძღვანელო მითითებები მიაწოდეთ ყველა ჟურნალისტს და, თუ შესაძლებელია, ჩაატარეთ ტრენინგი გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის სამართლიანი და სენსიტიური გაშუქების შესახებ (მაგალითად, სემინარების ორგანიზება ჩვეული მიკერძოების გაგებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ).
- წაახალისეთ ჟურნალისტები, რათა დაძლიონ სტერეოტიპები, ნაცვლად მათი განმტკიცებისა (მაგალითად, უსაფრთხო სივრცის შექმნით, სადაც მიღებული და წახალისებული იქნება გენდერული სტერეოტიპების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და საპირისპირო მაგალითების შეთავაზება).
- მიაწოდეთ რედაქტორებს სახელმძღვანელო მითითებები სიუჟეტის შერჩევისა და გაშუქების მიზნით.

▷ შეეცადეთ დაბალანსოთ ქალებისა და კაცების რაოდენობა (მაგალითად, თანაბარი რაოდენობით ჰკითხეთ აზრი ქალებსა და კაცებს).

▷ უზრუნველყავით ისეთი საკითხების დაფარვა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისა და ლგბტქი ადამიანებისთვის.

▷ დაფიქრდით, ახალი ამბის გაშუქებისას ხომ არ გამოგრჩათ გენდერული ასპექტის გათვალისწინება.

▷ გაითვალისწინეთ შექცევადობა: ინტერვიუების ჩატარების დროს დაფიქრდით, თქვენ მიერ მომზადებული შეკითხვები კაცს მიესადაგება თუ ქალს? აღწერდით თუ არა ანალოგიურად სხვა გენდერული იდენტობის მქონე ადამიანს? (მაგალითად, ყურადღება არ გაამახვილოთ ქალის ფიზიკურ გარეგნობაზე ან ჩაცმულობაზე, თუნდაც ნეიტრალურ კონტექსტში).

▷ აღიარეთ, რომ ყველა ამბავს არ აქვს ორი მხარე (მაგალითად, ფემიციდის ან ლგბტქი პირების მიმართ ძალადობის შემთხვევების გაშუქებისას, არ შეიძლება, ასეთი დანაშაულების რაიმე ფორმით გამართლება ან/და დაცვა).

- უზრუნველყავით რომ უგულებელყოფილი არ იყოს მითითებები სურათებისა და ვიდეოების შერჩევის შესახებ, რითაც თავიდან აიცილებთ სენსაციურობასა და სექსუალიზაციას (მაგალითად, გამოიყენეთ სურათები, რომლებიც კაცებსა და ქალებს წარმოგვიდგენენ ცხოვრების ყველა სფეროში - როგორც საჯარო, ისე კერძო).
- მიაწოდეთ სახელმძღვანელო მითითებები პირადი ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ.

▷ ყოველთვის მიიღეთ ინფორმირებული თანხმობა და დაიცავით ძალადობა გამოვლილი პირების ანონიმურობა.

▷ დარწმუნდით, რომ გესმით რესპონდენტის კონტექსტი, რათა თქვენმა ქმედებებმა მათ უნებლიედ საფრთხე არ შეუქმნას (მაგალითად, არ გაამჟღავნოთ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება, მათი იდენტიფიცირებისთვის გამოიყენონ).

- უზრუნველყავით დამატებითი ტრენინგი და რესურსები იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებმაც შესაძლოა, ძალადობა ან ტრავმა გამოვლილ პირთან ჩაწერონ ინტერვიუ.
- აღიარეთ, რომ არსებობს ძალადობის მრავალი სახეობა, მათ შორის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა; ასევე: მუქარა, იძულება და ონლაინ სიძულვილი და შეურაცხყოფა.

▷ აღიარეთ, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა გულისხმობს დამაზიანებელ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია პირისადმი სქესის ან გენდერული იდენტობის გამო.

b. ქცევის ერთიანი კოდექსის ჩამოყალიბება ჟურნალისტებისა და მედიისთვის, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს ჟურნალისტთა გაერთიანებები, მედია ორგანიზაციებთან ერთად.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ მხარი დაუჭირეთ და წაახალისეთ მსგავსი სახელმძღვანელო მითითებების მიღება და დანერგვა საინფორმაციო ორგანიზაციებში.

▷ გამოიყენეთ თვითრეგულირების მექანიზმები ან გამოყავით პირი საჩივრების განსახილველად. თუკი ეს შეუძლებელია, მედია ორგანიზაციებმა უნდა დანიშნონ ერთი ან მეტი პირი, რომელიც დაუკავშირდება საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას ან სხვა დამოუკიდებელ ორგანოს, რათა განიხილონ საჩივრები და იმსჯელონ პრაქტიკისა და ქცევის კოდექსის შესაბამისი ელემენტების შემუშავების თაობაზე.

▷ ითანამშრომლეთ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან - გქონდეთ წვდომა ტრენინგებსა და სახელმძღვანელო მითითებებზე.

▶ **ლგბტქი სპეციფიკის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ გადახედეთ ქცევის კოდექსებს და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებს, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინკლუზიურობა, შევიწროება და დისკრიმინაციის აკრძალვა ორგანიზაციის შიგნით.

▷ დარწმუნდით, რომ სარედაქციო პერსონალმა იცის შესაბამისი ტერმინოლოგია და განმარტებები, რომლებიც ლგბტქი ადამიანებსა და გენდერის აღიარებას ეხება.

▷ ითანამშრომლეთ ლგბტქი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა ჩაატაროთ ტრენინგი ჟურნალისტებისთვის და ხელი შეუწყოთ გაშუქების შესახებ სახელმძღვანელო მითითებების შექმნას.

▷ ყოველდღიური გაშუქებების დროს წაახალისეთ მეტი დიალოგი და ინტერაქცია ლგბტქი ადამიანებთან.

2. მედია შინაარსი

a. უზრუნველყავით, რომ განსხვავებულ თემებს, მოწმეებს, ექსპერტებსა და გამომსვლელებს აშუქებდეს მედიის წარმომადგენელთა დაბალანსებული ჯგუფი. ეს უზრუნველყოფს უკეთეს გენდერულ წარმომადგენლობას და ხელს შეუწყობს ქალების თვალთახედვის უკეთ გააზრებას.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ უზრუნველყავით, რომ შერჩეული სიუჟეტი ასახავდეს ქალებისა და ლგბტქი ადამიანების მრავალფეროვან როლებს საზოგადოებაში და, ასევე, იმ საკითხებს, რომლებიც საინტერესოა ქალებისა და ლგბტქი თემისათვის

▷ უზრუნველყავით გენდერული ბალანსი რესპონდენტებს, ექსპერტებსა და გამომსვლელებს შორის,

▷ ცალკეული შემთხვევების მიღმა განიხილეთ უფრო ფართო კონტექსტი და გაშუქებისას

მოიყვანეთ სტატისტიკა გენდერული ნიშნით ძალადობისა და ლგბტქი პირების მიმართ ძალადობის შესახებ.

- ▷ მოტივზე იმსჯელეთ პასუხისმგებლობით (მაგალითად, მოერიდეთ ისეთი შინაარსის შექმნას, თუ როგორ „გამოიწვია“ კონკრეტულმა ქცევამ ან მოვლენამ ძალადობა) და აჟიოტაჟის გარეშე (მაგალითად, არ შეიტანოთ გრაფიკული ან პერსონალური დეტალები, თუ ეს სიუჟეტისთვის არ არის საჭირო).
- ▷ უზრუნველყავით, რომ მედიაში გამოქვეყნებული სტატისტიკა იყოს ზუსტი და შინაარსის შესაბამისი (მაგალითად, აღიარეთ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი შემთხვევა არ ეცნობება პოლიციას).
- ▷ გადმოეცით ზუსტი ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და ლგბტქი ადამიანების მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევების შესახებ.

- ▶ **ლგბტქი სპეციფიკის სახელმძღვანელო მითითებები:**

- ▷ რესპონდენტებად, ექსპერტებად და გამომსვლელებად ჩართეთ ლგბტქი პირების დამცველები იმ საკითხების განხილვაში, რომლებსაც გავლენა აქვთ თემზე.
- ▷ ლგბტქი ექსპერტების ჩართულობით, შეეცადეთ ბალანსი დაიცვათ სხვა თემების განხილვისას.
- ▷ საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია გაიარეთ ლგბტქი ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან კონტექსტის უკეთ გასაგებად და უზრუნველყავით, რომ ლგბტქი საკითხები სამართლიანად და ზუსტად შუქდებოდეს.
- ▷ მიმართეთ ლგბტქი ადამიანებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა თემებზე სასაუბროდაც, ქვეყანაში არსებული პრობლემები ყველას გვეხება.

b. პროაქტიულად ებრძოლეთ სტერეოტიპების გავლენებს საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების გზით და ისეთი საკითხების გაშუქებით, როგორიცაა ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და ლგბტქი პირების მიმართ ძალადობა.

- ▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

- ▷ უზრუნველყავით, რომ აღნიშნული საკითხები ფართოდ გაშუქდეს და არ მოხდეს კონტექსტის გარეშე ცალკეულ შემთხვევებზე ფოკუსირება. ასევე, უზრუნველყავით, რომ ის ჩაითვალოს პრობლემად, რაც ადამიანის უფლებებს უკავშირდება.
- ▷ ჩაატარეთ მედია განათლების კამპანიები სხვა საინფორმაციო საშუალებებთან და მედიის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით.
- ▷ მკითხველს მიაწოდეთ პრაქტიკული ინფორმაცია (მაგალითად, თავშესაფრების, იურიდიული დახმარებისა და დაცვის სხვა საშუალებების მისამართები) და რესურსები (მაგალითად, ინტერნეტის ბმულები და მითითებები წიგნებზე), სადაც მათ შეეძლებათ, იპოვონ დახმარება ან განაგრძონ იმ საკითხების კვლევა, რომელიც გენდერული ნიშნით ძალადობას და ლგბტქი პირების მიმართ ძალადობას უკავშირდება.

- ▶ **ლგბტქი სპეციფიკის სახელმძღვანელო მითითებები:**

- ▷ უზრუნველყავით იმ საკითხების თანმიმდევრული, არა სენსაციური და სტერეოტიპებისგან თავისუფალი გაშუქება, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე.
- ▷ ლგბტქი ადამიანების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის შემთხვევები ასახეთ როგორც მძიმე დანაშაულები (და არა რაღაც „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ ან ნაკლებად ღირებული ინფორმაცია).
- ▷ არ განიხილოთ ძალადობა როგორც იზოლირებული ინციდენტი ან ერთჯერადი შემთხვევა.

- ▷ გააცნობიერეთ, რომ ზოგჯერ ძალადობა მიმართულია არა მხოლოდ ლგბტქი პირის მიმართ, არამედ მისი ოჯახისა და ახლობლების მიმართაც, ამიტომ გაშუქებისას გამოკვეთეთ დანაშაულის მოტივი და ყურადღება არ გაამახვილოთ მსხვერპლის, როგორც უმცირესობის წარმომადგენლის სტატუსზე.
- ▷ როცა ჟურნალისტური მასალის ფოკუსი არ არის ადამიანის ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა, მოერიდეთ ყურადღების ზედმეტად გამახვილებას იმაზე, არის თუ არა ვინმე გეი ან ტრანსგენდერი. ხშირად ეს გენდერული იდენტობა შეიძლება, არც იყოს რელევანტური სიუჟეტთან და მხოლოდ სენსაციის ელემენტს სძენდეს მას.
- ▷ მოერიდეთ ყველაფერს, რაც მიუთითებს იძულებით აღიარებაზე და არღვევს ლგბტქი ადამიანის პირადი ინფორმაციის/მონაცემების დაცვას. ამან შეიძლება, გავლენა მოახდინოს იმ პირის უსაფრთხოებაზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია გამჟღავნდა.
- ▷ ყურადღების გამახვილებას მოერიდეთ ოპერაციებზე, ქირურგიულ ჩარევებზე და ა.შ., რომლებიც, შესაძლოა, გაკეთებული ჰქონდეს ტრანსგენდერ ადამიანს. ასეთი შეკითხვები, შეიძლება, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით დაისვას. ისინი ხელს უშლიან მაყურებელს, მთლიანობაში დაინახონ ადამიანი და ფოკუსირდნენ უფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიცაა დისკრიმინაცია, ძალადობა და ა.შ. გახსოვდეთ, რომ ყველა ტრანსგენდერ ადამიანს არ სურს ტრანზიციის რთული პროცესის გავლა.

C. კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების დარღვევის აღწერისას და გაშუქებისას გამოიყენეთ შესაბამისი ტერმინოლოგია, როგორიცაა: ბავშვზე ძალადობა, გაუპატიურება, სექსუალური შევიწროება და ძალადობის სხვა ფორმები.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ ჩამოაყალიბეთ მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები ენის გამოყენებასთან დაკავშირებით.

- მოერიდეთ სენსაციურ სათაურებს.
- საუკეთესო პრაქტიკის მსგავსად, ადამიანები, რომლებმაც ძალადობა და შეურაცხყოფა განიცადეს, აღწერეთ როგორც „ძალადობა გამოვლილები“ და არა „მსხვერპლები“, თუ ისინი ცოცხლები არიან.
- ძალადობის აქტების აღწერისას მოძალადე წინადადების სუბიექტად აქციეთ და ზმნაში გამოხატეთ მისი საქციელი (მაგალითად, „მან გააუპატიურა იგი“ და არა ზოგადად - „იგი გააუპატიურეს“).
- მოერიდეთ სიტყვებს, როგორიცაა, მაგ. „ტრაგედია“, რადგან ასე იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ძალადობა იყო გარდაუვალი ან უკონტროლო ინციდენტი და არა მოძალადის მიერ შეგნებულად განხორციელებული ქმედება.
- სიფრთხილე გამოიჩინეთ მოძალადეებთან საუბრებისას და მათი სავარაუდო დანაშაულის მოტივის განხილვისას, რადგან ამან, შეიძლება, უნებლიედ მათი გამართლება გამოიწვიოს ან შთაგონების წყარო გახდეს სხვებისთვის, მსგავსი ქმედებების განსახორციელებლად.
- არ გამოიყენოთ ლექსიკა, რომელიც თანაგრძნობას გამოხატავს მოძალადის მიმართ (მაგალითად, სათაურში არ მოიხსენიოთ იგი როგორც „ოთხი შვილის მამა“). მოერიდეთ ყურადღების გამახვილებას მოძალადის სინანულზე ან ბოდიშის მოხდაზე; ასევე, ნუ აღწერთ მის ქცევას, როგორც „უხასიათოს“ ან მსგავსს. ნუ მიანიშნებთ, რომ მოძალადე ძალადობა გამოვლილი პირის რაიმე ქმედებამ წააქეზა.
- გააცნობიერეთ, რომ ყველა ამბავს არ აქვს ორი მხარე (მაგალითად, ფემიციდის ან

ლგბტქი ადამიანების მიმართ ძალადობის შემთხვევების გაშუქებისას, არ შეიძლება, ასეთი დანაშაულის რაიმე ფორმით გამართლება ან/და დაცვა).

- იხილეთ იუნესკოს საცნობარო გზამკვლევი „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შემთხვევების გაშუქება: სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის“.[4]

▶ **ლგბტქი სპეციფიკის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ გამოიყენეთ ისეთი ლექსიკა და ტერმინოლოგია, რომელიც თავიდან აგაცილებთ სტერეოტიპული ფორმულირებების გავრცელებას და ხელს შეუწყობს ტოლერანტული კულტურის დამკვიდრებას. იხილეთ GLAAD მედია გზამკვლევი5 და NUJ სახელმძღვანელო მითითებები ლგბტ გაშუქების შესახებ.6

▷ არ გამოიყენოთ ან/და არ გააშუქოთ მიზოგინური ან ჰომოფობიური ლექსიკა.

▷ უზრუნველყავით მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები ლექსიკის გამოყენებასთან დაკავშირებით.

- გაშუქების დაწყებამდე დაფიქრდით, კონკრეტული ამბისთვის რამდენად საჭირო და რელევანტურია ძალადობა გამოვლილზე საუბრისას მისი „გეიდ“, „ლესბოსელად“ ან „ბისექსუალად“ მოხსენიებ. თუ არა, მაშინ არ გამოიყენოთ ისინი.
- მოერიდეთ ტერმინებს „გეი ურთიერთობა“ ან „ლესბოსელი წყვილი“; უბრალოდ, გამოიყენეთ „ურთიერთობა” ან „წყვილი”.
- იცოდეთ სწორი/სასურველი ტერმინოლოგია (მაგალითად, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ქვიარი, ტრანსგენდერი და ა.შ.) და გესმოდეთ, რომ გარკვეული ლექსიკა შეურაცხმყოფელია (მაგალითად, ტერმინს „არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია“ გააჩნია კლინიკური კონოტაციები და ხშირად იყენებენ ანტი-ლგბტქი ექსტრემისტები, ამიტომ მისი გამოყენებისგან თავი უნდა შევიკავოთ).
- სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ზედსართავი სახელებია და არა არსებითი სახელები.
- მოერიდეთ ისეთ ლექსიკას, რომელიც გულისხმობს, რომ ლგბტქი ადამიანად ყოფნა თავისუფალი არჩევანია (მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ თქვათ „სექსუალური პრეფერენცია“, გამოიყენეთ „სექსუალური ორიენტაცია“).
- დაუშვებელია სხვისი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნება მისი თანხმობის გარეშე.
- ყოველთვის გამოიყენეთ შესაბამისი ნაცვალსახელები (არ მიაკუთვნოთ ტრანსგენდერი ადამიანი სხვა გენდერს).
- არ გამოიყენოთ ტრანსგენდერი ადამიანის დაბადების სახელი, გამოიყენეთ მის მიერ არჩეული სახელი.
- არასოდეს გაუწიოთ ადვოკატირება კონვერსიულ თერაპიას ან არაზუსტად არ მიუთითოთ, რომ სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა ფსიქიკური დაავადების ფორმაა.
- ნუ აღნიშნავთ ხაზგასმით, რომ ძალადობა გამოვლილი პირი ლგბტქი თემის წარმომადგენელია. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ძალადობა ორიენტაციის ნიშნით მოხდა.
- იმუშავეთ ცნობიერებისა და განათლების დონის ამაღლებაზე ლგბტქი საკითხების შესახებ, ასევე, შევიწროებისა და დისკრიმინაციის შესახებ, რომელსაც ეს პირები განიცდიან.

4 https://en.unesco.org/news/reporting-violence-against-women-and-girls-unesco-launches-new-publication
5 https://www.glaad.org/sites/default/files/GLAAD-Media-Reference-Guide-Tenth-Edition.pdf
6 https://www.scribd.com/document/400343295/nuj-guidelines-on-lgbt-reporting-published-sept-2014-pdf

3 პოლიტიკა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები

a. სექსისტური ან ჰომოფობიური გამოსახულების, ენისა და პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით თვითრეგულირების მექანიზმებისა და ქცევის კოდექსების დახვეწა მკაფიო სტანდარტებისა და შედეგების დადგენის გზით, ასევე, პროგრესის მონიტორინგის უზრუნველყოფა.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ უზრუნველყავით, რომ შიდა თვითრეგულირების მექანიზმებისა და ქარტიის როლი მკაფიოდ იყოს გადმოცემული და ადამიანებმა იცოდნენ, თუ როგორ დაუკავშირდნენ მედიასაშუალებასა და ქარტიას საჩივრის/განცხადების შესატანად.

▷ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში უზრუნველყავით გენდერული ბალანსი.

▷ უზრუნველყავით, რომ ადამიანები, რომლებიც საჩივრებს განიხილავენ, კარგად მომზადებულები და გამოცდილები იყვნენ გენდერულად სენსიტიური გაშუქებების მიმართულებით.

▷ თუ უკვე მიღებული გაქვთ ვალდებულება, რომ საჩივრების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოთ კომუნიკაციების კომისიას, გადადგით ერთი ნაბიჯი წინ და აღნიშნული ინფორმაცია საინფორმაციო ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოაქვეყნეთ. თუ ჯერ არ გაქვთ ასეთი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, მაშინ გააკეთეთ ეს ნებაყოფლობით. მიაწოდეთ საზოგადოებას შეძლებისდაგვარად მეტი დეტალი, საჩივრების წარმდგენი პირების ანონიმურობის, და პირადი ინფორმაციის დაცვით.

▷ მკაფიოდ შეატყობინეთ საზოგადოებას ინფორმაცია საჩივრის საპასუხოდ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებების შესახებ (მაგალითად, დამატებითი ტრენინგი, დისციპლინური ღონისძიება), ასევე, საჩივრების რაოდენობის შესამცირებლად განხორციელებული ქმედებების თაობაზე.

▶ **ლგბტქი სპეციფიკის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ უზრუნველყავით, რომ თვითრეგულირების ორგანოს მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები ჰქონდეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს ლგბტქი თემზე.

▷ კონსულტაცია გაიარეთ ლგბტქი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სახელმძღვანელო მითითებებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოთ მათი მაქსიმალური

b. ეფექტურობა.უზრუნველყავით, რომ ეთიკისა და ქცევის შიდა კოდექსები, მათ შორის საჩივრის პროცედურები, ფართოდ ცნობილი და ადვილად მისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ საჯაროდ გამოაქვეყნეთ ეთიკისა და ქცევის კოდექსი ვებგვერდზე.

▷ უზრუნველყავით, რომ საზოგადოების წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს ადვილად შეეძლოთ თვითრეგულირების მექანიზმთან დაკავშირება (მაგალითად, საინფორმაციო ორგანიზაციის ვებგვერდზე საჩივრის ფორმის[7] განთავსებით და ფორმის ბმულის ჩვენებით გამოსაჩენ ადგილზე)

c. საჯაროდ აღიარეთ და მადლობა გადაუხადეთ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად და წარმატებით უჭერენ მხარს დაბალანსებულ წარმომადგენლობას.

7 https://www.qartia.ge/en/submit-an-application

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

○ ხელმისაწვდომი გახადეთ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმძღვანელო - პასუხისმგებლობით გამსჭვალული გაშუქების შესახებ.

4. დასაქმება და სამუშაო პრაქტიკა

a. მხარი დაუჭირეთ კვალიფიციური ქალების დაბრუნებას სამსახურში ბავშვის მოვლის გამო შვებულების შემდეგ და წაახალისეთ სამუშაო პრაქტიკა, რომელიც ადამიანების ბუნებრივი ცხოვრების ციკლებს შეესაბამება, მაგ. მცირეწლოვან ბავშვებზე ზრუნვა.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ წაახალისეთ ბავშვის მოვლის გამო შვებულების პოლიტიკის გადახედვა და, თუ ფინანსურად შესაძლებელია, მოიძიეთ გზები ბავშვის მოვლისთვის ანაზღაურებადი შვებულების უზრუნველსაყოფად.

▶ **ლგბტქი სპეციფიკის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ გადახედეთ ბავშვის მოვლის გამო შვებულების პოლიტიკას, რათა დარწმუნდეთ, რომ ის უნებლიედ არ ახდენს ლგბტქი თანამშრომლების დისკრიმინაციას (მაგალითად, განიხილეთ შვილად აყვანის შვებულების შეთავაზება და სახელმძღვანელო მითითებებიდან ამოიღეთ გენდერულად სპეციფიკური ტერმინები, მაგალითად, მიუთითეთ „ძირითადი მეურვე/აღმზრდელი“ და არა „დედა“).

b. ადეკვატურ ანაზღაურებასთან და სოციალურ შეღავათებთან ერთად, ჩაატარეთ ტრენინგები და უზრუნველყავით მხარდაჭერის სხვა ფორმები მენტორინგის სისტემების მეშვეობით. ბავშვზე ზრუნვის მხარდაჭერამ შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეამსუბუქოს ინდივიდებზე დაკისრებული ტვირთი და სტრუქტურული დაბრკოლებების დაძლევასა და კარიერულ წინსვლაში დაეხმაროს მათ.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ განიხილეთ მენტორინგის პროგრამების განხორციელება ან ითანამშრომლეთ ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც ასეთ პროგრამებს ახორციელებენ.

c. უზრუნველყავით რესურსები და პროგრამები ქალთა განათლების გასაძლიერებლად მედია ტექნოლოგიებში ინფორმაციისა და შინაარსის შემუშავებაში, წვდომასა და მართვაში.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ განიხილეთ პროგრამები, რომლებიც სპეციალურად არის მიმართული მკითხველი/მაყურებელი ქალების ჩართულობისკენ, განსაკუთრებით სოფლად, სადაც საინფორმაციო საშუალებებზე წვდომა, შეიძლება, უფრო მეტად იყოს შეზღუდული.

d. წაახალისეთ მედია ორგანიზაციების მენეჯერული საკითხებისა და გადაწყვეტილების მიღების ასპექტების სწავლება, რათა გახდეს უმაღლესი განათლების სასწავლო გეგმებისა და ჟურნალისტიკის სასწავლო პროგრამების შემადგენელი ნაწილი.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ წაახალისეთ ჟურნალისტები, რომ ჩაატარონ ლექციები და საკუთარი გამოცდილება დამწყებ ჟურნალისტებს გაუზიარონ.

▷ უზრუნველყავით სტაჟირებები და დაიცავით გენდერული ბალანსი სტაჟიორებს შორის.

e. დაიცავით ჟურნალისტები სამუშაოს არა-სტაბილურობისგან და შექმენით უსაფრთხო სამუშაო გარემო ქალებისა და ლგბტქი ადამიანებისთვის.

▶ **ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო მითითებები:**

▷ დანერგეთ საჩივრების მექანიზმი გენდერული ნიშნით და/ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროებისთვის.

▷ უზრუნველყავით, რომ ომბუდსმენისთვის (სახალხო დამცველის აპარატისთვის) შევიწროების შესახებ შეტყობინების მექანიზმი იყოს მკაფიო და ხელმისაწვდომი.

▷ უზრუნველყავით, რომ ქცევის კოდექსის დაცვის შესახებ მითითებული იყოს ყველა შრომით ხელშეკრულებაში.

▷ უზრუნველყავით, რომ ტრენინგი შევიწროებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ რეგულარულად ტარდებოდეს.

▷ უზრუნველყავით, რომ ნიუსრუმებს ჰქონდეთ ციფრული უსაფრთხოების მკაფიო პოლიტიკა და რეპორტიორებს ასწავლეთ, როგორ დაიცვან თავი.

▶ **ლგბტქი სპეციფიკის სახელმძღვანელო მითითებები:**

უზრუნველყავით, რომ ლგბტქი ადამიანები დასაქმებული იყვნენ ნიუსრუმებში როგორც ჟურნალისტები, კომენტატორები და რესპონდენტები და მათ ჰქონდეთ ფართო სივრცე მონაწილეობისთვის, მათ შორის, ლგბტქი ადამიანების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გასაშუქებლად.

ტერმინთა განმარტება

ბისექსუალი

ტერმინი (ზედსართავი სახელი) გამოიყენება ისეთი ადამიანის აღსაწერად, რომელსაც შეუძლია, ჰქონდეს ხანგრძლივი ფიზიკური, რომანტიკული და/ან ემოციური ურთიერთობა იმავე ან სხვა სქესის წარმომადგენელთან; ასევე მოიხსენიება როგორც „ბი».

კონვერსიული თერაპია

ჰომოფობიურად განწყობილი ადამიანები ამტკიცებენ, რომ სექსუალური ორიენტაცია არჩევანია და/ან ცვალებადი მდგომარეობა. მათ მიაჩნიათ, რომ „ჰომოსექსუალიზმი“ არის ფსიქიკური დაავადების ან ემოციური აშლილობის ფორმა, რომელიც შეიძლება „განიკურნოს“ ფსიქოლოგიური ან რელიგიური ჩარევით. „კონვერსიული თერაპია“ ასეთ „მკურნალობას“ და/ან პროგრამებს განეკუთვნება.

გეი

„ჰომოსექსუალთან“ შედარებით უფრო ხშირად გამოყენებადი ტერმინი (ზედსართავი სახელი), რომელიც აღწერს იმ ქალებსა და კაცებს, ვისაც თავისივე სქესის ადამიანები იზიდავთ. კონკრეტულ შემთხვევებში, ქალების მიმართ უფრო გავრცელებული ტერმინია „ლესბოსელი“.

გენდერი

ქალურობისა და კაცურობის სოციალურად ფორმირებული მახასიათებლები. ის განსხვავდება „სქესისგან», რომელიც ეხება ბიოლოგიურ თვისებებს. გენდერული იდენტობა გულისხმობს ადამიანის შინაგან, ღრმად გაჟღენთილ გრძნობას მისი გენდერის შესახებ და ყოველთვის არ ემთხვევა იმ სქესს, რომელიც მას დაბადებისას მიენიჭა.

გენდერული ნიშნით ძალადობა

ძალადობა ან მავნე ქმედება, რომელიც მიმართულია პირისადმი მისი გენდერის ან მის მიერ აღქმული გენდერის გამო. გენდერული ნიშნით ძალადობა შეიძლება განიცადონ როგორც ქალებმა, ასევე, კაცებმა, თუმცა როგორც წესი, ძალადობის მსხვერპლები ქალები ხდებიან.

ჰეტეროსექსუალი

ტერმინი (ზედსართავი სახელი) გამოიყენება ისეთი ადამიანების აღსაწერად, რომელთაც ფიზიკური, რომანტიკული და/ან ემოციური მიზიდულობა აქვთ საპირისპირო სქესის ადამიანების მიმართ.

ჰომოფობია

იმ ადამიანების შიში, რომელთაც იმავე სქესის ადამიანები იზიდავთ, რაც ხშირად გამოიხატება შეუწყნარებლობის, მიკერძოების ან ცრურწმენის გზით. ჰომოფობიური ენა შეიძლება გამოყენებულ იქნას მიზანმიმართულად, როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფის ფორმა, ან გაუცნობიერებლად და აშკარად მავნე განზრახვის გარეშე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ენა დამაზიანებელი არ არის.

ინტერსექსუალი

ქოლგა ტერმინია და აღწერს იმ ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ რეპროდუქციული ან სქესობრივი ანატომიით და/ან ქრომოსომის ნიმუშით, რომელიც არ შეიძლება, კლასიფიცირდეს როგორც ტიპურად მამრობითი ან მდედრობითი.

ლესბოსელი

იხილეთ გეი.

ლგბტქი

აკრონიმი - გამოიყენება ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსუალი ადამიანების მიმართ. გამოიყენებენ შედარებით მოკლე აბრევიატურებსაც: ლგბტ, ლგბტ+

მიზოგინია

ქალებისადმი სიძულვილი, ზიზღი ან გამჯდარი ცრურწმენა.

ქვიარი

ტერმინი (ზედსართავი სახელი), რომელსაც ზოგიერთი ადამიანი იმ ადამიანების აღსაწერად იყენებს, რომელთა სექსუალური ორიენტაცია არ არის ექსკლუზიურად ჰეტეროსექსუალური.

ტრანსგენდერი

ქოლგა ტერმინი (ზედსართავი სახელი) იმ ადამიანებისთვის, რომელთა გენდერული იდენტობა განსხვავდება იმ სქესისგან, რომელიც მათ დაბადებისას მიენიჭათ.

წყაროები

Council of Europe. Media and the Image of Women: Report of the 1st Conference of the

Council of Europe Network of National Focal Points on Gender Equality. Amsterdam, 2013. https://rm.coe.int/1680590587.Free Press Unlimited. Gender-Sensitive Reporting.

https://kq.freepressunlimited.org/themes/gender-equality/gender-in-media-content/gender-sensitive-reporting/. GLAAD. GLAAD Media Reference Guide, 10th ed. 2016. https://www.glaad.org/sites/default/files/GLAAD-Media-Reference-Guide-Tenth-Edition.pdf.Lemish, Dafna, and Maya Götz, eds. Beyond the Stereotypes? Images of Boys and Girls, and their Consequences. Göteborg: Nordicom, 2017. https://www.nordicom.gu.se/en/publikationer/beyond-stereotypes.National Union of Journalists. NUJ Guidelines on LGBT Reporting. London, 2014. https://www.scribd.com/document/400343295/nuj-guidelines-on-lgbt-reporting-published-sept-2014-pdf.

UN Women. Country Gender Equality Profile of Georgia. Tbilisi: UN Women Country Office in Georgia, 2020. https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/05/the-country-gender-equality-profile.UNESCO. Reporting on Violence against Women and Girls: A Handbook for Journalists.

2019. https://en.unesco.org/news/reporting-violence-against-women-and-girls-unesco-launches-new-publication.Women in News. Amplifying Women's Voices: A Gender Balance Guide For Media. 2020.

https://www.womeninnews.org/ckfinder/userfiles/files/Gender Balance Guidebook_FINAL_RGB (1).pdf.

Zero Tolerance, Media Guidelines on Violence Against Women

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის ქ. #87, 0179,
თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 222 06 04
(+995 32) 2 22 08 07

www.unwomen.org
georgia.unwomen.org